# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო გურჯაანელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი გურჯაანის მერობის კანდიდატისა და გურჯაანის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს გურჯაანის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს გურჯაანი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# გურჯაანის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ გურჯაანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7 მლნ 446 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 14 მლნ 763 ათასი ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილიც – თუ 2013 წელს, გურჯაანის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 8 მლნ 137 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 14 მლნ 982 ათას ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** (ჯამურად 5 368 756 ლარი, თანამონაწილეობა 1 041 956 ლარი). პროგრამით – **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 16 პროექტი (ჯამურად 2 096 271 ლარი, თანამონაწილეობა 809 169 ლარი). პროგრამით – **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 431 ჰექტარზე განხორციელდა 73 პროექტი (ჯამურად 4 472 359 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 13 531 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 147 706 532 ლარი), რითაც ისარგებლა 4 294-მა ბენეფიციარმა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 5 230 299 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 13 კოოპერატივი (104 მეპაიე, კაპიტალი 215 220 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ისარგებლა 1 613-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა და ჯამურად, 372 947 134 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 43 608 548 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსდა** 106 პროექტი (ჯამურად 4 214 088 ლ, თანადაფინანსება 1 680 406 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** შესყიდულია 664 699 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 329 850 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა 2 პროგრამა: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით,** 5 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 861 187 ლარი, თანადაფინანსება – 508 235 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 54 პროექტი (ჯამურად 2 436 929 ლარი, თანადაფინანსება 1 203 448 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დახარჯულია 8 896 325 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 850-დან (2013 წელს) 1 985 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა, ხოლო დაშრობილი მიწისა – 0-დან (2013 წელს) 3 924 ჰექტრამდე (2020 წელს). კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – გურჯაანში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 372,1 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 354,58 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის გურჯაანში დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 8 512 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** გურჯაანის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (383 367 ლარი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 3 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 19 020 000 ლარი, დასაქმდა 64 ადამიანი, გურჯაანს 157 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 632 812 ლარის გრანტი გაიცა; განხორციელდა 829 048 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 64 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 21, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 43 პროექტი).

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური** – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 8 539 აბონენტი. 2014 წელს, სოფელ ქერემის 50 ოჯახი ჩაერთო **ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში.** 2013-2017 წლებში, 3 887 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ათვისება ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. **ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა** კახეთის რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. ჩატარდა ტრენინგები ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისთვის. პროექტით – „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, გურჯაანში განხორციელების ფაზაშია ან დას-**



სოფელ ველისციხეში სარიშვილის გზის რეაბილიტაცია დაიწყო

#მერიახალხისსამსახურში

41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

**რულდა არაერთი პროექტი:** ზიარისა და ფხოველის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის სადგომისახელოსნოს ღია ტიპის მუზეუმი; სოფ. ვეჯინში, ივანე ბერიტაშვილის მუზეუმში, აღმოჩენილი არქეოლოგიური ექსპონატების მუდმივმოქმედი ექსპოზიციის შექმნა; გურჯაანის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია; ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის ეზოს მოპირკეთება და სხვა. დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ტურისტული ადგილების შესახებ;

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.**

ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია. 2021 წელს გაფართოვდა **მარიამჯვრის დაცული ტერიტორიები,** კერძოდ, 4 936 ჰექტარზე შეიქმნა ცივგომბორის აღკვეთილი, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, ძალაში შევა 01/01/2022 წელს.

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 72 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**. ბიომასისა და წვრილმზომ სამასალე მერქანზე (ჭიგო, სარი, ბოძი) მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 2017-2018 წლებში, მოეწყო სწრაფმზარდი სახეობების პლანტაცია 15 ჰექტარზე.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 8 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 34 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ხელისუფლებამ 7,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო, მხოლოდ 2021 წელს კი – 2 500 000 ლარი.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, გურჯაანის 4 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 069 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, გურჯაანის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 9,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, ამ მიზნით, დამატებით 70 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **გურჯაანში მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:** ბაკურციხისა და კარდენახის წყალმომარაგების სისტემის, ქ. გურჯაანის სერვისცენტრის რეაბილიტაციისა და ლაბორატორიის მოწყობის პროექტირება-მშენებლობა (ჯამურად 18 400 000.00 ლარი სიღნაღის პროექტებთან ერთად); ქ. გურჯაანის წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (750 000 ლ); ქ.გურჯაანის წყალარინების სისტემისა და წყალმომარაგების მაგისტრალური მილის რეაბილიტაცია (3 699 924 ლ); ჯიმითისა და ნანიანის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობა (6 193 333 ლ); არაშენდას, დარჩეთისა და ქოდალოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (6 699 915 ლ); ვეჯინისა და კოლაგის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობა (11 999 999 ლ); ჭანდარისა და ძირკოკის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობა (8,199,933 ლ); სოფელ გურჯაანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობა (6 345 000 ლ); კაჭრეთისა და ზემო კაჭრეთის წყალმომარაგების რეაბილიტაცია/მშენებლობა (7,700,000 ლ);



სოფელ ჩუმლაყში, მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფლის ცენტრში არსებული სკვერის შემოღობვა და შესასვლელი კარის მოწყობა მიმდინარეობს

## 2021-2022 წლებისთვის, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- მუკუზანში სკოლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია – 535,938 ლ;
- ზემო კაჭრეთში სკოლის გზის რეაბილიტაცია – 477 086 ლ;
- ჯიმითში სკოლის გზის რეაბილიტაცია – 563 914 ლ (დასრულებული);
- მუნიციპალიტეტში არსებული კორპუსის ეზოების მოასფალტება – 934 850 ლ;
- კაჭრეთის სკოლის გზის რეაბილიტაცია – 269 901 ლ (დასრულებული);
- ჩუმლაყში, VIII ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია – 382 522 ლ (დასრულებული);
- ვეჯინში, თეფშიაურების უბნის გზის რეაბილიტაცია – 391 298 ლ (დასრულებული);
- კარდენახში, ტეტელოანთ უბნისა და ბანკის ჩასასვ. რეაბილიტაცია – 447 507 ლ;
- კარდენახში, ნონეშვილის მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია II ეტაპი – 712 200 ლ;
- ვაზისუბანში, სოლომნიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია – 213,041 ლ;
- სოფ. გურჯაანში ქვ.წითელი უბნის გზის რეაბილიტაცია – 321 899 ლ; –
- ჩუმლაყში, რკინიგზასთან არსებული გზის რეაბილიტაცია – 242 030.00 ლ;
- ვეჯინში, შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 394 400 ლ;
- ქ. გურჯაანში, ფიროსმანის ქუჩის რეაბილიტაცია – 142 538.00l ლ;
- ვაჩნაძიანში, სკოლის გზის რეაბილიტაცია – 159,704 ლ;
- კალაურში, შიდასაუბნო გზისა და ჩიხის რეაბილიტაცია – 428 600 ლ;
- შაშიანში, დოყიაანთ უბნის რეაბილიტაცია – 264,198 ლ;
- ვაზისუბანში, სკოლის გზის რეაბილიტაცია – 306 923 ლ;
- ველისციხეში, სარიშვილის გზის რეაბილიტაცია – 334 770 ლ;
- ზეგაანში, სკოლის გზის რეაბილიტაცია – 464 095 ლ;
- ჩუმლაყში შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 146 140 ლ;
- სოფ. გურჯაანში, ქვ. წითელუბანში გზის რეაბილიტაცია – 470 704 ლ;
- ბაკურციხეში შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 193 151 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.




გურჯაანის შემოვლითი გზა

# ზურაბ უტიაშვილი: „გურჯაანის მერობისთვის ბრძოლა იმიტომ გადავწყვიტე, მინდა, მის განვითარებაში წვლილი შევიტანო“

**გურჯაანში ამბობენ, რომ არც ერთ ექიმს იმდენი მადლიერი ადამიანი არ ჰყავს, რამდენიც ზურაბ უტიაშვილს. პირადად ვინც არ იცნობს, მათაც იციან იმ კაცის სახელი და გვარი, რომელსაც წლების განმავლობაში, ჯანდაცვის სამინისტროში მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა და არც ერთი გურჯაანელისთვის დახმარებაზე უარი არ უთქვამს. ბოლო წლებში წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის ხელმძღვანელი იყო, დღეს კი გურჯაანის მერობის კანდიდატია „ქართული ოცნებიდან“. ამბობს, რომ საარჩევნო მარათონში მხოლოდ ერთი მიზეზით ჩაერთო – სურს, გუნდთან ერთად, მშობლიური გურჯაანის განვითარებაში წვლილი თავადაც შეიტანოს. ამბობს იმასაც, რომ გურჯაანელებთან მუდმივი კომუნიკაცია ექნება და მხოლოდ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე დასახავს სამომავლო გეგმებს. იმაზე კი, რომელი მიმართულებები იქნება მისთვის პრიორიტეტი, ზურაბ უტიაშვილი თავად გვიამბობს.**



დაიბადა 1968 წლის 9 იანვარს, გურჯაანში პედაგოგის ოჯახში.

1985 წელს წარჩინებით დაამთავრა გურჯაანის №3 საშუალო სკოლა.

1989-1995 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტი, 1996 წელს – ინტერნატურა სპეციალობით, ბავშვთა ქირურგია, 1997-2001 წლებში კი – ასპირანტურა, სპეციალობით მეან-გინეკოლოგია. პირველი სამუშაო ადგილი 1985 წელს იყო სანატორიუმი ახტალა, სანიტრის პოზიცია. 1991-1993 წლებში მუშაობდა ონკოლოგიური კლინიკის ექთნად; 1997-2001 წლებში იყო №1 სამშობიარო სახლის მეანობა-გინეკოლოგიის №2 კათედრის ასპირანტი; 2001-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის, იყო 2009-2014 წლებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი. 2014-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს უფროს მრჩევლად, ხოლო 2016-2019 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

არის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ვეტერანი, ასევე საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 2015 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**– ბატონო ზურა, მუნიციპალიტეტში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი?**

– დავიბადე მოსამსახურის ოჯახში. მამა ისტორიკოსი იყო, დედა კი, მუსიკის პედაგოგი. მამა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე, მუშაობდა. იყო კინოფიკაციის, პარკის, ბოლოს – გურჯაანში ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორი. შემდეგ პენსიაზე გავიდა. დედას უამრავი მოსწავლე ჰყავდა და გურჯაანში ბევრ ბავშვს ასწავლა მუსიკა. მათ შორის – მეც. მუსიკალური სასწავლებელიც დავამთავრე, ფორტეპიანოზეც ვუკრავ, გიტარაზეც, მაგრამ ძირითადად შინაურებთან, ოჯახში. სამწუხაროდ, მშობლები გარდაცვლილები არიან. მყავს ოთხი საუკეთესო და. მოკლედ, ჩემი ოჯახი გურჯაანში საკმაოდ ცნობილია, ბავშვობა კი, საოცარი იყო. ძალიან მიყვარდა ველოსიპედით სეირნობა და ფეხბურთის თამაში. საკმაოდ ბეჯითიც ვიყავი – სკოლა წარჩინებით დავამთავრე. სხვათა შორის, კომუნისტების დროს შეიქმნა გურჯაანის საპატიო მოქალაქეთა წიგნი და იმ წიგნში პირველი ჩემი სახელი და გვარი წერია, „შეტანილია გურჯაანის საპატიო წიგნში“ გრაფის გასწვრივ. ქიმია, ბიოლოგია და ქართული ენა-ლიტერატურა განსაკუთრებით მიყვარდა. ოლიმპიადებშიც ვმონაწილეობდი და ყოველთვის, ვიმარჯვებდი. ადრეული ასაკიდანვე მქონდა განსაზღვრული, რომ სამედიცინო მიმართულებით წავიდოდი. თავიდან ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ეს პროფესია პრესტიჟულად ითვლებოდა, ყველა აქებდა, მოგვიანებით კი, ჩემში ეს მისწრაფება ჩამოყალიბდა. ჩემი პროფესია პედიატრია, ბავშვთა ქირურგიაა. მყავს მეუღლე, პროფესიით იურისტი, ორი ულამაზესი და უნიჭიერესი შვილი – მარიამი და გიორგი და ერთი შვილიშვილი.

**– პროფესიით რამდენი წელი იმუშავეთ?**

– თავიდან გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში დავიწყე მუშაობა ინტერნად, მოგვიანებით 1 წელი ბავშვთა ქირურგად ვიმუშავე. რთული პერიოდი იყო. უშუქო, ცივი შენობა... მერე ასპირანტურა დავამთავრე, ოღონდ იქ ორსულთა ინფექციებისა და მეანგინეკოლოგიის კუთხით წავედი, თუმცა როგორც კი დავამთავრე ასპირანტურა, 2001 წლიდან მუშაობა ჯანდაცვის სამინისტროში დავიწყე.

**– ჯანდაცვის სამინისტროში თქვენს 14-წლიან მუშაობას როგორ აფასებთ?**

– ვფიქრობ, ჯანდაცვის სამინისტროში საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე. 2006 წლიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შევქმენი. ჯერ განყოფილების, შემდეგ სამსახურის, დეპარტამენტის უფროსი ვიყავი, რომელიც ბოლოს დიდ სამსახურად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, სასწრაფო სამედიცინო ცენტრი შემოვიერთეთ. მეამაყება, რომ ეს სამსახური ჩემი შექმნილია. ქვეყანაში ჩამოვაყალიბე პაციენტის რეფერალური მართვის როგორც ელექტრონული, ისე დისტანციური მართვის სისტემა, რამაც სხვათა შორის, წარმატებით იმუშავა რუსეთ-საქართველოს ომის დროს. იმდენად წარმატებით, რომ 2223 დაჭრილი გამოვიყვანეთ, მხოლოდ 2 გარდაგვეცვალა გზაში. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ჩვენმა შექმნილმა სისტემამ დახმარება გაუწია და ამუშავა თავდაცვის სამინისტროს საველე ჰოსპიტალი.

**– თქვენც ომის ვეტერანი ხართ და საველე პირობებში, დაახლოებით რამდენი ოპერაცია გაკეთდა?**

– დიახ, ომის ვეტერანი გახლავართ. არასდროს დამავიწყდება რუსეთის აგრესია, რომლის შედეგადაც ტერიტორიები, ადამიანები დავკარგეთ და უამრავი ადამიანი, საკუთარ ქვეყანაში, დევნილად იქცა. ომში უამრავი ჯარისკაცის გმირობა ვნახე, ვნახე სიკვდილთან მებრძოლი საოცარი ახალგაზრდები და სამწუხაროდ, არაერთი გარდაცვლილი. საველე ჰოსპიტალში, რომელსაც ლაშა ქოიავა მეთაურობდა, 311 ოპერაცია გაკეთდა. ამ რაოდენობის ოპერაცია გორის ჰოსპიტალში არ გაკეთებულა. იცით, როგორ პირობებში უწევდათ ექიმებს მუშაობა? – ჭურვების ცვენისა და აფეთქებების ხმების ფონზე. ომის შემდეგ, სასწრაფო დახმარების 2 მანქანა ჩამოვიყვანე და სამინისტროს შენობის წინ მეყენა, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენთან მოდიოდნენ, ენახათ. ორივე მანქანა საცერივით იყო დაცხრილული ტყვიებისგან. ყველანაირი ბინძური მეთოდებით გვიტევდა რუსული არმია. მისთვის სულერთი იყო, ვის ესროდა – ჯარისკაცს, მოქალაქეს თუ სასწრაფო დახმარების ბრიგადებს. წამოვედით თუ არა, ჩვენი საველე ჰოსპიტალიც დაიბომბა... ამას მოჰყვა ის საშინელი, მარცხის განცდა, რომელიც არასდროს გტოვებს, მაგრამ ცდილობ, ამაზეარ იფიქრო და შენი საქმე პირნათლად შეასრულო. პრინციპში, მთელი ჩემი ცხოვრება ასეა – ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო და ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვემსახურო ჩემ ხალხს. ვცდილობ, ჩემ სფეროში სიახლეებიც შემოვიტანო. 2006 წლიდან 2015 წლამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით, ყველა გეგმა ჩემი დაწერილია. ამ გეგმების მიხედვით მოქმედებდა ქვეყანა, როცა რაიმე სამედიცინო მიმართულების კრიზისი იქმნებოდა. იყო ეს ომის დროს წარმოქმნილი კრიზისი, თუ „ღორის გრიპი“, რომლის დროსაც გეგმამ წარმატებით იმუშავა. ჯანდაცვის სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ, კრიზისების მართვის საბჭოში ვიმუშავე. 112-ის შექმნაშიც აქტიური მონაწილეობა მივიღე. 2014 წელს კი, საქართველოდან საუკეთესო საჯარო მოხელის შერჩევისას, ჩემი კანდიდატურა გაიგზავნა „გაერო-ს მოსახლეობის ფონდის“ დაჯილდოებაზე წლის საუკეთესო სახელმწიფო მოხელის



ნომინაციაზე – „პოლიტიკის შემუშავება და საზოგადოებრივი აზრის დაცვა“; ასევე დაჯილდოებული ვარ „ღირსების ორდენით“ და მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისა და გაწეული ღვაწლისთვის“.

**– თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საუკეთესო საჯარო მოხელე?**

– დისციპლინირებული, პასუხისმგებლობის გრძნობით, რეჟიმს უნდა იყო შეჩვეული, ყველაზე ადრე უნდა მიდიოდე სამსახურში და ყველაზე გვიან მოდიოდე. შენი საქმე მაქსიმალურად სკურპულოზურად უნდა აკეთო. საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება დაუშვებელია და რაც მთავარია, აუცილებლად უნდა გქონდეს ინიციატივები.

**– კრიზისების მართვა ახსენეთ. რამდენად ეფექტურად მართა ხელისუფლებამ პანდემია და გამარჯვების შემთხვევაში, რა როლი შეიძლება შეასრულოს მერმა ვაქცინაციის პოპულარიზაციის პროცესში?**

– პანდემიის მართვა საქართველოში საკმაოდ ეფექტურად მოხდა. საქართველოს პარლამენტში, ჯანდაცვის კომიტეტში კოვიდ 19-ის მიმართულებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ვარ და მაქვს ჩემი მოსაზრებების წარდგენის ბედნიერება. ხშირად ითვალისწინებენ. რაც შეეხება ვაქცინაციას – მიმაჩნია, რომ მერი ნამდვილად უნდა იყოს ამ თემის პროპაგანდისტი. ვაქცინაცია და მედიკამენტი არის ერთადერთი გამოსავალი. რადგან ჯერ არ გვაქვს მედიკამენტი, აუცილებელია ვაქცინაცია. პირადად მე 2-ჯერ ვაქცინირებული ვარ და ყველას ვურჩევ, აიცრას ნებისმიერი ვაქცინით. ომში ყველანაირი იარაღით ბრძოლა დასაშვებია. ამ უხილავ მტერთან ომში, ჯერჯერობით, ერთადერთი იარაღი – ვაქცინა გვაქვს. რა თქმა უნდა, აუცილებელია, რეკომენდაციების დაცვა.

**– არაერთი ინიციატივა და გადაწყვეტილება ჩამოთვალეთ, რითიც ამაყობთ. არის რამე ისეთი, რის გაკეთებაც, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძელით ან მოასწარით და ხინჯად გაქვთ?**

– მთავარი ის არის, სისტემა განვითარებისკენ წაიყვანო. გაკეთებით, დღესაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. შესაძლებელია უკეთესი პროტოკოლის შემუშავება, მაგალითად, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების მიერ პაციენტების გადაყვანისას. შესაძლებელია კატასტროფის ცენტრების განვითარება, რათა მეტი მძიმე პაციენტის რეფერალის უზრუნველყოფა მოხდეს. ეს ყველაფერი თანხებზეა დამოკიდებული. სურვილები ხომ ყოველთვის არ შეესაბამება შესაძლებლობებს. თუმცა, რომ შევადაროთ ახლანდელი პერიოდი 2010-11 წლამდე პერიოდს, პროგრესი ნამდვილად დიდია. მნიშვნელოვანია მიდგომა საყოველთაო ჯანდაცვის კუთხით. მართალია იყო ხარვეზები, მაგრამ ამის გარეშე ასეთი მასშტაბური მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლებელია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და, ვფიქრობ, მისი დახვეწა კიდევ შეიძლება, რათა მეტად ეფექტური, ნაკლებ დანახარჯზე ორიენტირებული იყოს. ჯანდაცვის სამინისტრო, ამ მხრივ, ეფექტურად მუშაობს და ამ მიმართულებით, სერიოზულ რეფორმას კიდევ ველოდებით.

**– ანუ, დღეს ჯანდაცვის სისტემა ბევრად დახვეწილი და ეფექტურია, ვიდრე 10-12 წლის წინ?**

– დიახ. პირველივე ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ შეცვლის შემდეგ ხელისუფლებამ გადადგა, ძალიან ეფექტური იყო. ვგულისხმობ, სადაზღვევო კომპანიების დაქვემდებარებაში აღარ არიან სასწრაფო დახმარების სამსახურები, შევქმენით ერთიანი, სახელმწიფო რეგიონული სასწრაფო, განახლდა ავტოპარკი, შევიძინეთ ახალი მანქანები, ჩამოყალიბდა უფრო მობილური და გაცილებით სწრაფი და ორგანიზებული სისტემა. ეს დავით სერგეენკოსა და ჩემი ერთობლივი მუშაობის შედეგია. ვამაყობ, რომ ასევე აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული სოფლის ამბულატორიების პროექტში, რომლის ფარგლებშიც, 2013-14 წლებში, სოფლებში ავაშენეთ და აღვჭურვეთ ამბულატორიები.

**– ამ მიმართულებით პროგრესი გურჯაანშიცაა და რა სიახლე შეიძლება შეიტანოთ მუნიციპალიტეტში უშუალოდ თქვენი პროფესიიდან გამომდინარე?**

– გურჯაანში ძალიან კარგი კლინიკაა. ვფიქრობ, მერია დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ამ კლინიკაში იყოს სპეციალისტების სხვადასხვა სპექტრი და გურჯაანელებს თბილისში წამოსვლა არ დასჭირდეთ, თუნდაც მცირედი უფრო რთული მანიპულაციის გამო. ასევე, ვფიქრობ, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა და უკეთ ჩამოყალიბებაა საჭირო. ჰოსპიტალური სექტორი და სასწრაფო ასე თუ ისე განვითარდა, მთავარი გამოწვევა კი პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით რჩება. ამბულატორიებში ექიმები, თავისი პატარა გუნდით, ემსახურებიან უამრავ ბენეფიციარს. მათ შორის დიდ სოფლებს. მაღალმთიან სოფლებში კი, შესაძლოა დაკავშირებაც ჭირდეს. ვფიქრობ, პირველადი ჯანდაცვის განვითარებისთვის, მუნიციპალიტეტმაც არაერთი ნაბიჯი უნდა გადადგას.

**– ამის გარდა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა რა გამოწვევების წინაშე დგას და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

– მუნიციპალიტეტში სოციალური პრობლემებია. პირველ რიგში, სწორედ იმას ვაპირებ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა უკეთ შევისწავლო და ამ მიმართულებით აქტიურად ვიმუშაო. არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ბევრგან წყალმომარაგების, სათავე ნაგებობების, გზის პრობლემა მოგვარდა, მაგრამ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს. დეტალურად ვეცნობი, რომელ სოფელში რა ვითარებაა წყალმომარაგების, გაზიფიცირების, სანიაღვრე სისტემების მიმართულებით. მოსახლეობისგან პირადად მივიღებ მაქსიმალურ ინფორმაციას და სამომავლო გეგმებს მათთან ერთად, მათი საჭიროებიდან გამომდინარე დავსახავ. ჩემთვის პრიორიტეტი იქნება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, მეტი ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბება, სამუშაო ადგილების გაჩენა, ოღონდ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ან არასამეწარმეო იურიდიული პირების (ააიპ) შექმნის ხარჯზე, არამედ ბიზნესის ხელშეწყობით. ყველა ამ მიმართულებით ხელისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. სწორედ იმიტომ ვდგავარ ამ გუნდის გვერდით, რომ მათთვის ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანია. გურჯაანის მერობაც იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდა, ამ პროცესის მონაწილე გავხდე.

**– ფიქრობთ, ამის საშუალება მოგეცემათ და როგორ არჩევნებს ელოდებით მუნიციპალიტეტში?**

– დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩატარდეს დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნები. გურჯაანელების განწყობას ვგრძნობ და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მხარს დამიჭერენ. ასე რომ არ იყოს, საარჩევნო მარათონში არ ჩავერთვებოდი.

**– „საუკეთესო მოსწავლისა“ და „საუკეთესო საჯარო მოხელის“ სტატუსი გაქვთ. შეძლებთ, 4 წლის მერე გურჯაანელებმა თქვენზე თქვან, ჩვენი „საუკეთესო მერიაო“?**

– შეუძლებელია, რომ არ თქვან!



## ბედნიერი ოჯახის „ლიბერალი უფროსი“ და ახალბედა პაპა

პროფესიით ექიმია, მაგრამ არასრული იურიდიული განათლებაც აქვს. მომავალი მეუღლე ხათუნა კურტანიძე, სწორედ ამ ფაკულტეტზე სწავლისას გაიცნო უმაღლეს სასწავლებელში. დიდი დრო არ დასჭირდათ იმისთვის, მიმხვდარიყვნენ, რომ ბედი ერთმანეთისთვის უნდა დაეკავშირებინათ და 7 თვეში დაქორწინდნენ.

ბედნიერ წყვილს 2 შვილი ჰყავს – მარიამი და გიორგი. მარიამს ურჩევდა, იურიდიული განათლება მიეღო, მაგრამ გადაწყვიტა, მამის გზას გაჰყოლოდა და სამედიცინო სფერო აირჩია. სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა და ჯანდაცვის რეგიონულ ცენტრში მუშაობს. მოწოდებით ექიმია, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია, კონკრეტულად, რა განხრით წავა. სტუდენტობის დროს კლინიკაში მუშაობდა და პასუხისმგებლობის საოცარი გრძნობა გამოავლინა. ერთ დღეს, ძალიან მაღალი სიცხით იმუშავა, მაინც არ გაეთავისუფლა, მორიგეობა ბოლომდე დაასრულა, დილას კი თავად მოუწია კლინიკაში დაწოლა.

მარიამი ახალდაოჯახებულია. მისი რჩეული შალვა ბიჭიაშვილია. წყვილს 5 აგვისტოს გოგონა – კირა შეეძინა, რომელმაც უკვე მოახერხა, მერობის კანდიდატი პაპის გული დაეპყრო.

გიორგი ჯერ 11 წლისაა და წარჩინებული მოსწავლეა. გიორგის ბებიისგან მუსიკის ნიჭი გენეტიკურად გამოყვა. მამამ ელემენტარული პრინციპი აუხსნა, შემდეგ კი ინტერნეტით, დამოუკიდებლად ისწავლა ფორტეპიანოზე დაკვრა და უკვე სერიოზულ ნაწარმოებებს უკრავს. გიორგის სხვადასხვა კონსტრუქციის აწყობა უყვარს.

ზურა უტიაშვილი მზრუნველი მამაა და შვილების აღზრდაშიც ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული. საქმეში ზომიერად მკაცრია, ოჯახში კი – ლიბერალი. შვილებს არაფერში ზღუდავს. მისი ერთადერთი მოთხოვნა სწავლას უკავშირდება. შვილები უმეტესად თავად მიჰყავდა სკოლაში და მშობელთა კრებებსაც ხშირად ესწრებოდა. ბედნიერია, რომ პედაგოგები ადრე მარიამს, ახლა კი გიორგის აქებენ.

ოჯახში საქმეები განაწილებული აქვთ. მათი ოჯახური ტრადიცია, დროის ერთად გატარებაა. კანდიდატისა და მისი მეუღლის ოჯახის წევრები, დები, სიძეები, შვილები ერთად რომ შეიკრიბონ, კოვიდრეგულაციების დარღვევა მოუწევთ. არადა, ყველაზე დიდ სიამოვნებას ეს ანიჭებთ – ერთად ყოფნა.

საღამოობით ველოსიპედით გასეირნება უყვარს. გურჯაანში კი აქვს ერთი, ყველაზე საყვარელი ადგილი. აქ, საიდანაც მთელი ალაზნის ველი ხელისგულივით ჩანს, ხშირად მოდის. აქ, საქართველოში ერთადერთ ორგუმბათოვან ყველაწმინდასთან, საოცარი სიმშვიდეა. აქ თითქოს მაღლდები, საკუთარ თავთან მარტო რჩები, განვლილ ცხოვრებასაც უკეთ აანალიზებ და მომავლის გეგმებსაც უფრო მარტივად სახავ.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **გურჯაანის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 69 883 923 ლარი, დაფინანსდა 114 803 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 676 658 ლარით 352 502 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 210 785 ლარით 61 250 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (44 343 819 ლარით 28 001 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (12 228 442 ლარით 12 636 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 751 190 ლარით 4 570 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 869 999 ლარით 5 900 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 4661 ბენეფიციარი (843 807 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში,** იმუნიზაციის მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 82%-ია. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **გურჯაანში,** სტაციონარული მკურნალობით 199-მა (716 886 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1349 პაციენტმა (179 953 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 7 653 ორსული (405 285 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1714.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 304 პირი (28 693 147 ლ).** 2012 წლის შემდეგ, **გურჯაანის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **გურჯაანში**, 2013-2021 წლებში, სულ 1132 შემთხვევა 1 653 568 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო **გადასახადისგან. გურჯაანის მუნიციპალიტეტს 77 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 155,2 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 53,0 ათასი ლ).

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: ბაკურციხე (23 962 ლ), ზეგაანი (15 403 ლ), კალაური (12 353 ლ), კაჭრეთი (26 998 ლ), ახაშენი (77 345 ლ), ვაჩნაძიანი (16 868 ლ), შაშიანი (16 477 ლ), ჩუმლაყი (13 814), ზემო კაჭრეთი (26 999 ლ), ჭერმი (26 832 ლ); ახალი ამბულატორიის მშენებლობა სოფელ ახაშენში (81 400 ლ); ქ. გურჯაანში, სასწრაფოს ახალი შენობის მშენებლობა (316 154 ლ); სოფელ კაჭრეთში, სასწრაფოს ახალი შენობის მშენებლობა (119 400 ლ), ქ. გურჯაანში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა**, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის წარმოება გურჯაანის მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის დონეზე და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **გურჯაანის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 13 482 პირი 01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 16 279 029-დან 36 665 409 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 232 420 167 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **გურჯაანში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 157 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,9-ჯერ – 205 867-დან 794 369 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 5 605 851 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **გურჯაანის მუნიციპალიტეტში**, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2720 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,6-ჯერ – 4 127 ათასიდან 6 488 ათას ლარამდე (2020 წ. მდგომ.) გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, (01.04.2021 წ. მონაც,) სულ დაიხარჯა 55 800 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 15 310 ათასი, შშმ პირებზე – 4 824 ათასი, ბავშვებზე – 17 564 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **გურჯაანში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 747 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 7,2-ჯერ – 664 800-დან 4 757 061 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 28 891 994 ლარი.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში 222 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.),. 2012



წლის შემდეგ, 85 008 ლარიდან 127 260 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 1 016 167 ლარი.

**დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **გურჯაანის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 44 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი17 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 27 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **გურჯაანში,** დაფინანსებულია 298 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 065 850 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 501 450 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **გურჯაანის მუნიციპალიტეტზე** – 3 724 720 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წ. გურჯაანში, ჩართული იყო 1872, ხოლო 2021 წ, – 2017 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 397-მა ოჯახმა, 2021 წ. – 429 (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), გურჯაანის მუნიციპალიტეტში პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 719 პირი, 2021 წ. – 749 პირი (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II-მა ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638 პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (**6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 513,2 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 436,5 ლ).

**2012 წლიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტი ახორციელდებს არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას.** მათ შორისაა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის დახმარება, ეკონომიკურად გაჭირვებული მოქალაქეების უფასო კვებით უზრუნველყოფა, ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახის დახმარება, მარჩენალ დაკარგული ოჯახების, მარტოხელა მშობელისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) ოჯახის დახმარება ელექტროენერგიის გადასახადის მიზნით, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახის დახმარება ელექტროენერგიის გადასახადის დაფინანსების მიზნით, ხანძრით და სტიქიური მოვლენებით დაზარალებული ოჯახების დახმარება, ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა თანადაფინანსება მედიკამენტების შესაძენად და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა

სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** გურჯაანში ფუნქციონირებს 37 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (4 – ქ. გურჯაანში, 33 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. გაიზარდა გურჯაანში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 4 მლნ 102,4 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 2 მლნ 759,5 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 132,9 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს, მათ შორის, 2014 წელს** სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციოს სამუშაოები ჩატარდა ქ. გურჯაანისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 24 საბავშვო ბაღში; **2015 წელს** – ქ. გურჯაანის №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას 200 ათასი ლარი მოხმარდა. ასევე, განხორციელდა 34 საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. **2016 წელი** – ქ. გურჯაანის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 310 ათასი ლარი დაიხარჯა, №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე – 256,9 ათასი ლარი. რეაბილიტაცია ჩატარდა მუნიციპალიტეტის 23 საბავშვო ბაღს, 19 ბაღისთვის შეძენილია ინვენტარი და ტექნიკა (სულ 2 მლნ 35,1 ათასი ლარი) განხორციელდა ველისციხის №1, მუკუზანის და ჭანდარის საბავშვო ბაღების გაზიფიცირება. **2018-2019 წლებში** ქ. გურჯაანსა და მუნიციპალიტეტის სოფლების საბავშვო ბაღებში განხორციელდა 783,4 ათასი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სველი წერტილებისა და სამზარეულოების კეთილმოწყობა, გათბობის სისტემების მოწყობა); **2020 წელს** ჭანდარის საბავშვო ბაღისთვის შეძენილია ინვენტარი (6,3 ათასი ლარი), ჩუმლაყის საბავშვო ბაღში მოეწყო სათამაშო მოედანი (3,1 ათასი ლარი). სოფ. გურჯაანის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 40,5 ათასი ლარი დაიხარჯა (ჯამში 42,6 ათასი ლარი). **2021 წელს,** პანდემიური ვითარების გამო, საბავშვი ბაღებში განხორციელდა სველი წერ-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ტილების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტები (ჯამში 49,3 ათასი ლარი). სველი წერტილებისა და სამზარეულობის რეაბილიტაცია განხორციელდა: ქ. გურჯაანის №1 (რეგ. ფონდი 41,8 ათასი ლარი), სოფ. ჭანდარის, კოლაგის, ველისციხის №1, ჩუმლაყის №2, კახიფარის, კალაურის №2 და ზეგაანის საბავშვო ბაღებში.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად**, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1985-დან 2164-მდე გაიზარდა. 2013-2020 წლებში, ასევე 3,56 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების** ყოველდღიური თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა კვების რაციონი. სრულიად განახლდა სამზარეულოს ელექტროტექნიკა, ინვენტარი და ავეჯი. **სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია სკოლამდელი აღზრდის 22 დაწესებულებაში, სადაც 16 ჯგუფში 673 ბავშვია. სულ დასაქმებულია 122 აღმზრდელი. ყველა საბავშვო ბაღს ჰყავს ექთანი. საბავშვო ბაღების აღმზრდელთა ხელფასი, 2012 წელს არსებული 260 ლარიდან გაიზარდა 610-ლარამდე, ხოლო აღმზრდელის თანაშემწეებისა და მთელი ტექნიკური პერსონალის ხელფასი – 150-დან 430 ლარამდე.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 4, სოფლად – 21, მათ შორის 3 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 6966 მოსწავლე (მათ შორის 346 – მაღალმთიანი სოფლებში), 693 მასწავლებელი (58 – მაღალმთიან სოფლებში) და 34 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 131 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლას 27 მანდატური ემსახურება.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის:** 2017-2019 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით, 5** საჯარო სკოლას 48 კომპიუტერი გადაეცა. ამ მიმართულებით გადამზადდა მუნიციპალიტეტის 800-ზე მეტი პედაგოგი. 2013-2020 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით** 32 პროექტი დაფინანსდა. 9 სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი, რომელიც კახეთის კულტურულ (გურჯაანის) მემკვიდრეობას ეხებოდა. ყველა სკოლა ჩაერთო კონკურსში – ჩემი მუნიციპალიტეტის „ტოპშვიდეული". 16 საჯარო სკოლის 100-ზე მეტი მოსწავლე, 2018 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს „საქართველოს განათლებისა და დებატების" ინსტიტუტთან, მისი ეგიდით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, 2019-2021 წლებში „ახალი სკოლის მოდელის" საპილოტე პროგრამაში 14 საჯარო სკოლაა ჩართული.** ახალი სკოლის მოდელში ჩართულ საჯარო სკოლებს, 2019 წელს გადაეცათ 62 ლეპტოპი. 2018-2019 წლებში **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 51 პროექტი, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 5 პროექტი განხორციელდა; **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 11 საჯარო სკოლის (13 მიმართულება) 463 მოსწავლემ ისარგებლა (2019-2020 ს/წ). **2013-2019 წლებში,** გურჯაანის საჯარო სკოლების პირველკლასელებს საჩუქრად გადაეცათ 4214 კომპიუტერი, 159 -კლასის დამრიგებლებს, ხოლო 386 – წარჩინებულ მოსწავლეებს. ამავე წლებში მუნიციპალიტეტში, ჯამში 296 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი გამოვლინდა. ექიმის კაბინეტი მოწყობილია 9 საჯარო სკოლაში. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

**სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** გურჯაანის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რებილიტაციის 43 პროექტი განხორციელდა, ადაპტირებულია მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლა. ცენტრალური გათბობით აღჭურვილია – 15. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 3 საჯარო სკოლაა ჩართული.

**2013 წელს** განხორციელდა 7 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (სულ 364,4 ათასი ლარი). **2014 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკოლას და ნაწილობრივი რეაბილიტაცია – ველისციხის საჯარო სკოლას, საძირკველი გაუმაგრდა კაჭრეთის სკოლის შენობას (სულ 254,3 ათასი ლარი), დაფინანსდა საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი" (20,5 ათასი ლარი); **2015 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაზეც დაიხარჯა 1 მილიონ 161,6 ათასი ლარი. გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ქ. გურჯაანის №3 საჯარო სკოლას (106.1 ათასი ლარი). კარდენახის და ვაზისუბნის საჯარო სკოლებში მოეწყო სამედიცინო ოთახები (19,8 ათასი ლარი. **2016 წელს** განხორციელდა სოფელ კაჭრეთის საჯარო სკოლის გაზიფიცირება და კოლეჯის „აისის" (125,5 ათასი ლარი) რეაბილიტაცია. ექიმის კაბინეტი მოეწყო მელაანის სკოლაში. **2017 წელს** გაზიფიცირების სამუშაოები ჩაუტარდა სამ სკოლას (279 075 ლარი), დაფინანსდა 15 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია/მოწყობის სამუშაოები. **2018 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას:** სოფ. გურჯაანის, კოლაგისა და ვეჯინის საჯარო სკოლებს. მათ შორის, კეთილმოეწყო და შეიღობა სკოლების ტერიტორიები, მოეწყო სატუმბი სადგური, საკანალიზაციო სისტემა (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსება). **დაფინანსდა საჯარო სკოლებში ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდა** (ვეჯინი, კოლაგი; სოფელი გურჯაანი) და გაზიფიცირება. **2019 წელს** დასრულდა სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის მშენებლობა (2 მლნ 187,5 ათასი ლარი). **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 10 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 738,2 ათასი ლარი).

**2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,** საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციისა და გათბობის მოწყობის 11 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 752,9 ათასი ლარი). დასრულდა შაშიანის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის შიდასარემონტო, ჩალაუბნისა და გურჯაანის №2 სკოლების სპორტდარბაზისა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები. შემოიღობა ახაშენის სკოლის ეზო (7,6 ათასი ლარი).

**2020 წელს –** MCC ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩართვის პროექტირება განხორციელდა სოფ. კოლაგის, ვეჯინისა და გურჯაანის საჯარო სკოლებში. **მიმდინარეობს** და 2021-2022 ს/წლის დაწყებამდე დასრულდება, კარდენახისა და კალაურის საჯარო სკოლების გამაგრება/სრული რეაბილიტაციის სამუშაოები (7 მლნ 258,5 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი).

## პროფესიული განათლება

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „აისი",** რომელიც 51 მოდულურ და 9 დუალურ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. 2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 12 მლნ 616,8 ათასი ლარი შეადგინა.

**2020 წლიდან** კოლეჯი ახორციელებს იმ ტიპის პროფესიულ პროგრამებს, რომელთა დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** ინტეგრირებული პროგრამები განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სატყეო საქმე, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, შედუღება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები. აღნიშნული ტიპის პროგრამებზე, 2020 წლის მიღების ფარგლებში, გურჯაანში 20 აპლიკანტი ჩაირიცხა. **2013-2020 წლებში,** კოლეჯის გურჯაანის ლოკაციაზე პროფესიულ პროგრამებზე, ჯამში, 3818 სტუდენტი ჩაირიცხა (მათ შორის 87 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) პირი).

**2015-2016 წლებში** კოლეჯს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 1 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯა. 2016 წელს გაიხსნა ინოვაციური ლაბორატორია. 2019 წელს, კოლეჯში ინტეგრირებული მოდულების დანერგვის მიზნით, 31,6 ათასი ლარის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა შეიძინეს. სოფელ კაჭრეთში კოლეჯმა დაიწყო დუალური პროგრამის განხორციელება მეხილეობასა (კურკოვანი კულტურები) და მევენახეობა-მეღვინეობაში, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებაში. **2019 წელს,** 624,3 ათასი ლარით დაფინანსდა მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით აღჭურვილობის შეძენა. 2021 წელს აშენდა კერამიკული ნაკეთობის დამზადების, იატაკისა და ფილის სამუშაოების, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების სახელოსნოები.

2017-2019 წლებში, **სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის** მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 16 პროექტი განხორციელდა. 2021 წლისთვის, გურჯაანში, ზრდასრულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების 15 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

### „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია; არსებული მეთოდოლოგიის და სტანდარტების შესაბამისად სისტემატურად განახლდება საბავშვო ბაგა-ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; საჭიროების შემთხვევაში. უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება გურჯაანში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- **გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რებილიტაციის პროექტები:** 2021 წლის ბოლომდე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება: სოფელ ვაზისუბნის საჯარო სკოლის შენობის იატაკების და შიდა ეზოს რეაბილიტაცია (17,9 ათასი ლარი); სოფელ ახაშენის საჯარო სკოლის შენობის კარ-ფანჯრების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (14,7 ათასი ლარი);
- ბასკეთის (ესპანეთი) კულინარიული ცენტრის ხელშეწყობით, ქალაქ გურჯაანში, გასტრონომიული მიმართულების სკოლა დაფუძნდება. გასტრონომიული მიმართულების სკოლა კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაიწყებს ფუნქციონირებას და პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის შემდეგი ობიექტები:**

ა(ა)იპ გურჯაანის კულტურის ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია ვასო გოძიაშვილის სახელობის ველისციხის თეატრი, ვაზისუბნის, კაჭრეთის, არაშენდას, ჯიმითის, ნანიანის, კალაურის კულტურის სახლები, სადაც ფუნქციონირებს ანსამბლები: ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცერული 1“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „მანდილი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „მხედრული“, ველისციხის ვოკალური ჯგუფი, ვასო გოძიაშვილის სახელობის თეატრთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა თეატრი, ფოლკლორული ანსამბლი „ჰანგები“, ა(ა)იპ გურჯაანის კულტურის ცენტრთან და ვეჯინის წმ.გიორგის ეკლესიასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი, ფოლკლორული ანსამბლი „შეუპოვრები“, გურჯაანის კულტურის ცენტრთან არსებული საესტრადო ანსამბლი „იმედი“, გურჯაანის ფოლკლორული ანსამბლი „ხარება“, ქ. გურჯაანის წმინდა სამების საკათედრო ტაძართან და კულტურის ცენტრთან არსებული წმ. პოლიევქტოს კარბელაშვილის სახელობის ანსამბლი „საგანძური“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“.

**ა(ა)იპ საბიბლიოთეკო-სამუზეუმო გაერთიანებაში შედის:** ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი, ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი, იოსებ ნონეშვილის მუზეუმი; დიდების მემორიალური მუზეუმი, ვაჩნაძიანის სოფლის ისტორიის მუზეუმი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი (ქ. გურჯაანი), წმინდა გრიგოლ ფერაძის მუზეუმი (სოფელი ბაკურციხე), შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქ. გურჯაანში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა (ვაჩნაძიანი, ზეგაანი, ველისციხე, გურჯაანი, ვეჯინი, ბაკურციხე, კარდენახი, კაჭრეთი, ჯიმითი, ნანიანი, არაშენდა და ქოდალო);

**ა(ა)იპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში 5 სამუსიკო სკოლაა** – გურჯაანის, ველისციხის, ვაჩნაძიანის, კარდენახისა და კაჭრეთის სამუსიკო სკოლები;

ა(ა)იპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა; ა(ა)იპ „მრავალჟამიერი“, რომელშიც გაერთიანებულია ფოლკლორული ანსამბლი „გურჯაანი“ და ლევან მუღალაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის შემსწავლელი სკოლა. ა(ა)იპ ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი „გურჯაანი“; გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ გურჯაანის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი, რომელშიც 143 ახალგაზრდაა გაერთიანებული.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 320,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 529,2 ლარია.



გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმი

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ტარდებოდა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, კონკურსები და კონცერტები, აღინიშნებოდა სახალხო დღესასწაული „ნატოობა“, იმართებოდა ფოლკლორული და ლიტერატურული საღამოები, ღვინის ფესტივალები, ღონისძიება „მხიარული სოფელი“, კონფერენციები და შეხვედრები ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ტარდებოდა თემატური ღონისძიებები.

**2019 წელს დიდების საბრძოლო მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა ლექციები თემაზე:** „1989 წლის 9 აპრილი“, „2008 წლის აგვისტოს 5 დღე“, „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“; ღონისძიებებით აღინიშნა 9 მაისი, სამამულო ომში გამარჯვების დღე, მუზეუმების საერთაშორისო დღე, 18 მაისი, „ღამე მუზეუმში“. კვირეულის ფარგლებში, საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებთან ერთად, ჩატარდა რამდენიმე, ერთობლივი ღონისძიება. მუზეუმის ამფითეატრში მოეწყო ფილმის ჩვენება „ჯარისკაცის მამა” და სხვ. **ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში** აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე, მუზეუმების საერთაშორისო დღე – 18 მაისი, „ნატოობა“ – 14 ივნისი და სხვ. **ივანე ბერიტაშვილის სახელობის მუზეუმში** ჩატარდა ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და გურჯაანის მერიის მიერ ორგანიზებული სემინარი თემაზე: „თანამედროვე საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ტექნოლოგიები“ (სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ციკლის ფარგლებში), გაიცა სერთიფიკატები; „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში მუზეუმში მოეწყო ნახატების გამოფენა „ბავშვის თვალით დანახული მეცნიერების სამყარო” გამოვლინდნენ გამარჯვებულები და სხვ. **წმ. გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმში** აღინიშნა წმ. გრიგოლ ფერაძის დაბადების დღე – 13 სექტემბერი (ახალი სტილით) და წმინდანის ხსენების დღე 6 დეკემბერი; **იოსებ ნონეშვილის სახელობის მუზეუმში,** 14 მაისს, კარდენახის საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა პოეტის შემოქმედებითი საღამო და ღონისძიება პირველკლასელთა მონაწილეობით – „ანბანური ზეიმი”. აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე – „ღამე მუზეუმში”. **გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმში** მოეწყო ღია გაკვეთილები, ნორჩ არქეოლოგებთან ერთად გასვლითი ღონისძიება – ლაშქრობა ისტორიულ ძეგლ „სამებაზე“, მოეწყო ადგილობრივი მხატვრის – თამუნა მენაბდიშვილის ნახატების გამოფენა-გაყიდვა, გაიმართა დისკუსია სოფლის გმირებზე და სხვ.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2014-2016 წლებში:** სოფ. კაჭრეთის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია, სოფ. ვაჩნაძიანის მუსიკალურ სკოლაში ელექტროენერგიის შეყვანა, სოფ. კალაურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფ. არაშენდაში, კულტურის სახლის ეზოში, სველი წერტილის მოწყობა, სოფ. ქოდალოს ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, სოფ. ვაჩნაძიანში გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის მუზეუმის სტიქიისაგან დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია, სოფ. კარდენახში ი.ნონეშვილის მუზეუმში სველი წერტილების მოწყობა, სოფ. მელაანში კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფელ კაჭრეთში კულტურის სახლისა და სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია, სოფ. ვეჯინის ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. კარდენახში ვ. ბეროშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, სოფ. ბაკურციხის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფ. კაჭრეთის სოფლის კლუბში ელექტროგაყვანილობისა და სველი წერტილების მოწყობა, სოფ. ბაკურციხის კულტურის სახლის გაზიფიცირება, სოფ. კაჭრეთის კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. არაშენდას კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. დარჩეთში სოფლის კლუბის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – პროექტებზე სულ 2,1 მლნ ლარი დაიხარჯა.

**2015-2016 წლებში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ბაკურციხის კულტურის ცენტრს – 2 მლნ 33,4 ათასი ლარი.

**2016-2017 წლებში,** სოფელ ბაკურციხეში აშენდა წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმი (განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული აგურით ნაშენი ძველი სახლის ფრაგმენტების კონსერვაცია, რომელიც სახლ-მუზეუმის ახალ შენობაშია ჩართული)– 394,8 ათასი ლარი.

**კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში,** 2013-2016 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა – კალაურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აღდგენა-რეაბილიტაცია; სანაგირეს წმინდა გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკის დროებითი დაცვითი სამუშაოები; ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია; ზიარის (გურჯაანი) ტერიტორიის არქეოლოგიური სამუშაოები; კალაურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი; „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“, სოფ. ზიარის (ქოდალო) არქეოლოგიური სამუშაოები; ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის გზის მაჩვენებელის დამზადება-დადგმა; სოფელ ზიარის (გურჯაანი) ტერიტორიის არქეოლოგიური მომსახურება, რაზეც, საერთო ჯამში, 246,5 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017 წელს** განხორციელდა პროექტი – **„კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“** (2, 6 ათასი ლარი).

**2019 წელს** დასრულდა კოტე აფხაზის სასახლის რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები (39,3 ათასი ლარი).

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის გურჯაანის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

მიერ დაფინანსებული პროექტი **„ციხე სიმაგრეები მომავლის მცველები“** (16,2 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი – **„იტერ ვიტის-ღვინის გზა“** და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი – **„ალ. დიუმას კვალდაკვალ“,** რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ადგილობრივი კულტურული ტურიზმის განვითარებას.



## სპორტი

**მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია ა(ა)იპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება.** მასში შედიან: რევაზ მინდორაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლა, ნანა იოსელიანისა და გიორგი გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბები, საფეხბურთო კლუბი „ალაზანი“ და ვეჯინის წმ. გიორგის სახელობის კრივის სკოლა. 2020 წლისთვის, გაერთიანებაში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, 810 მოსწავლე ვარჯიშობდა.

2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს **დაფინანსება.** 2020 წელს **სპორტის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 623,8 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 203,8 ათასი ლარი იყო.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** ცურვა, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა, ძიუდო, ფეხბურთი, კრივი, ჭადრაკი, მკლავჭიდი, რაგბი, კარატე და ფრენბურთი. ადგილობრივი სპორტსმენები რეგულარულად მონაწილეობენ მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს, რეგიონულ პირველობებსა და სახელობით ტურნირებზე.

**2019 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს, მათ შორის აღსანიშნავია:** გურჯაანში ჩატარებული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში ახალგაზრდებს შორის, სადაც გურჯაანელმა სპორტსმენებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვეს; მონაწილეობა მიიღეს ასპარეზობაში ბაგაურის სახელობის ლიდერის თასზე ძიუდოში (თბილისი), თავისუფალ ჭიდაობაში კი სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირზე კარატეში (იაპონია), კარატე-დოში – მოიპოვეს ერთი ლიცენზია;

**ასევე წარმატებას მიაღწიეს და სხვადასხვა სინჯის მედლები დაიმსახურეს შემდეგ სპორტულ ასპარეზობებზე:** მხიარული სტარტების რესპუბლიკურ პირველობაზე გოგონების სპრინტში – 2 მედალი; ლ. მღებრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში – 9 სხვადასხვა სინჯის მედალი; ო. გოდერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თ/ჭიდაობაში – 6 სხვადასხვა სინჯის მედალი; საერთაშორისო ტურნირი კადეტები – 6 სხვადასხვა სინჯის მედალი; საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ყაზბეგში – 2 მედალი; მკლავჭიდში რესპუბლიკური პირველობა – ერთი მედალი; ათუმში საქართველოს პირველობა ძალოსნობაში – ერთი მედალი; კახეთის პირველობა ჭადრაკში – სამი მედალი; ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი მესტიაში – 4 მედალი; რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში – ერთი მედალი; ბათუმის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში – 6 მედალი; ბათუმის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში -10 სხვადასხვა სინჯის მედალი; აჭარის ღია პირველობა ჭადრაკში – 1 ოქროს მედალი; ბელორუსში, ვიტებსკის ოლქი, ქ. გოროდოკში „ლომის თასის“ საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში – გამარჯვება მოიპოვეს ოთხიდან სამ ნომინაციაში; მესტიაში ლერი ნაკანის სახ. ტურნირზე ძიუდოში – 4 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს; ბათუმის საერთაშორისიო ტურნირი ცურვაში – ერთი ბრინჯაოს მედალი; საერთაშორისო დიდოსტატის ნანა იოსელიანის თასის გათამაშება ჭადრაკში – გუნდური მესამე ადგილი; ღია პირველობა ცურვაში – სამი სხვადასხვა სინჯის მედლი.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2014-2018 წლებში:** სოფ. კალაურში სტადიონის რეაბილიტაცია, სტადიონზე გაბიონის ბალასტით შევსება და გარე განათების მოწყობა, სოფ. კოლაგში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფ. დარჩეთის სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. ჩუმლაყში მინისტადიონის კეთილმოწყობა, სოფ. ვეჯინის სპორტული დარბაზის მოწყობა, სოფელ ჩალაუბანში სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ.ქოდალოსთვის სპორტული ინვენტარის შეძენა, რაზეც სულ 99,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017 წელს** განხორციელდა ქ. გურჯაანსა (თამარ მეფის ქუჩა. 22,8 ათასი ლარი) და სოფ. ბაკურციხეში (21,5 ათასი ლარი) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. 2017 წელს საფეხბურთო მოედანზე განხორციელდა სველი წერტილებისა და გასახდელების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (40 ათასი ლარი).

**2018 წელს** სპორტული მინიმოედნები მოეწყო ქ. გურჯაანსა (კალოსუბანში – 48,6 ათასი ლარი) და სოფლებში: კარდენახი (48,6 ათასი ლარი, მუკუზანი (62,7 ათასი ლარი), ჩუმლაყი (62,7 ათასი ლარი), ვაზისუბანი (62,7 ათასი ლარი).

**2013-2016 წლებში,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა **სამინისტროსთან** შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 2 შიდა ჩემპიონატი (დაიხარჯა 10,6 ათას ილარი) და 3 სასწავლო საწვრთნელი შეკრება (დაიხარჯა 131,8 ათასი ლარი) ჩაატარეს.

სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა 14,4 ათასი ლარი).

სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (დაიხარჯა 11,6 ათასი ლარი).

2017-2018 წლებში, სამინისტრომ გურჯაანის მუნიციპალიტეტს 2,9 ათასი ლარის სპორტული ინვენტარი გადასცა, ქ. გურჯაანში დამონტაჟდა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობა.

**2019 წელს** განხორციელდა სპორტული კომპლექსის შენობის სახურავის სრული რეაბილიტაცია, ასევე, სპორტული კომპლექსის საცურაო აუზის საფილტრე და საქვაბე მეურნეობის სრული რეაბილიტაცია.

**2020 წელს** სოფელ ძირკოკში სპორტული მოედნის მოწყობას 19,6 ათასი ლარი მოხმარდა, სოფელ კოლაგის კრივის დარბაზის სველი წერტილის მოწყობაზე კი 17,6 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე, განხორციელდა სოფელ ჩუმლაყში მინისპორტული მოედნის რეაბილიტაცია (4,3 ათასი ლარი); ველისციხის სტადიონის რეაბილიტაცია (19,5 ათასი ლარი);

**რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა** ქალაქ გურჯაანში ორი მინიმოედნის მოწყობა, რაშიც 33,2 ათასი ლარი დაიხარჯა. ამჟამად **მიმდინარეობს** სოფელ ჯიმითში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელის ღირებულებაც 62,8 ათასი ლარია.

2020 წელს, **გურჯაანის სპორტულ ცენტრს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ** გადასცა საერთაშორისო სტანდარტების პროფესიული ტატამი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სპორტული ეკიპირება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის (20 ათასი ლარი). **სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა** გურჯაანის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს. სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „სტუდენტური დღეები ევროპული მომავლისთვის“ (ხალხური ცეკვების ტური, 1000 მონაწილე); ტრენინგი „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ კამპანია – არა სიძულვილს“; „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**2021-2025 წლების განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით გურჯაანის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- განხორციელდება ქ. გურჯაანის, სოფ. ველისციხის, სოფ. კაჭრეთისა და სოფ. კარდენახის სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაცია (120 ათასი ლარი);
- გაგრძელდება პროექტი – ზიარის არქეოლოგიური სამუშაოები (80 ათასი ლარი, 2017-2021);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- 2022-2025 წლებში, განხორციელდება კოტე აფხაზის სასახლის სრული რეაბილიტაცია სოფელ კარდენახში, რაზეც 500 ათასი ლარი დაიხარჯება,
- ვაჩნაძიანის ყოვლადწმინდის რეაბილიტაცის კი 250 ათასი ლარი მოხმარდება;
- სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა სოფელ ახაშენში, რაზეც, რეგიონული განვითარების ფონდიდან 141,9 ათასი ლარი მოხმარდება;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.




# ჩემო ძვირფასებო!

ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ „ქართულმა ოცნებამ" გურჯაანის მერობის კანდიდატად წარმადგინა!

მართალია, დღეს გურჯაანი შეუდარებლად განვითარებული ქალაქია, ვიდრე თუნდაც წლების წინ და ამას თითოეული ჩვენგანი ხედავს, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ არსებობს რიგი გამოწვევები, რომელთა მოგვარება და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის თანადგომით, ადგილობრივ მოსახლეობას, ერთი მხრივ, კიდევ უფრო მეტ საჯარო სიკეთეზე ექნება წვდომა, მეორე მხრივ კი - უფრო მეტი გასაქანი მიეცემა, რათა სხვადასხვა მიმართულებით მიაღწიოს წარმატებას.

თქვენ, კახეთის გულში, კულტურით, განათლებით, ტრადიციებითა და ბარაქიანი მიწით გამორჩეულ ამ მხარეში მცხოვრებმა ხალხმა კარგად იცით ადამიანის სიტყვისა და საქმის ფასი; ამიტომაც, სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, მთელ ჩემს გამოცდილებასა და რესურსს სწორედ ჩემი ქალაქის განვითარებისკენ მივმართავ და თითოეული გურჯაანელის მერი ვიქნები!

მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ ვაქციოთ ჩვენი გურჯაანი წარმატებულ და განვითარებულ ქალაქად.

მტკიცედ მწამს, თქვენთან ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ, ჩვენი ქალაქი გაიმარჯვებს!

**„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.